საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიონიჯო კარლი და პიაჩენცა

დიონიჯო კარლი და პიაჩენცა (Dionigio Carli da Piacenza), XVII ს. იტალიელი მისიონერი, კაპუცინთა ორდენის წევრი.

1681 ჩამოვიდა თბილისში და 6 თვეს დარჩა. შემდეგ წინამძღვრად იყო გორის კათოლიკეთა ჰოსპიტალში. მისი რელაციონი (დაიბეჭდა 1687) მრავალმხრივ საყურადღებო წყაროა XVII ს. უკანასკნელი მეოთხედის ქართლისა და კახეთის საზ.-პოლიტ. ცხოვრების შესასწავლად. მასში საკმაოდ ვრცლადაა აღწერილი თბილისელთა და, საერთოდ, ქართველთა ყოფა (ჩაცმა-დახურვა, ქორწილი, გლოვის წესი, ყაბახი, ჩოგანბურთი და სხვ.), აგრეთვე აღმ. საქართველოსა და ირანის ურთიერთობა.

თხზ.: Bassano – Le Quattro Parti del Mondo, Libro 2. Della Città di Tiflis, 1687, cap. 19.

ბ. გიორგაძე